ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო -

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი N 4

ქალაქი ბათუმი

25 ოქტომბერი, 2018 წელი (18 : 00 სთ)

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ :

1. ნინო ინაიშვილი - საზოგადოება ,,ბათომის'' დამფუძნებელი და გამგეობის თავ - მჯდომარე; განათლების საერთაშორისო ცენტრის ბათუმის ოფისის ხელმღვანელი.
2. თამაზ თურმანიძე - შპს ,,რუსული რეგისტრი ვესტჯორჯია''-ს დირექტორი; აჭარის ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდავთა ასოციაციის თავმჯდომარე;
3. მაყვალა კვირიკაძე - შპს ,,მაკო''-ს დამფუძნებელი; აჭარის ქალ ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე;
4. გურამ ფუტკარაძე - აჭარის ა/რ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე; საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი;
5. ლაშა ნაკაშიძე - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში - UNDP – GEF - პროექტის ,,მწვანე ქალაქები მდგრადი ინტეგრირებული ტრანსპორტი ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის'' ხელმძღვანელი;
6. კახაბერ გუჩმანიძე - CENN - პროექტის - ნარჩენების მართვის ტექნოლოგია რეგიონებში (USAID / WMTR II) - რეგიონული კოორდინატორი აჭარაში;

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს სხდომის დღის წესრიგი წინასწარ დაეგზავნათ ელ.ფოსტაზე, ასევე ინფორმაცია განთავსდა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ - გვერდზე.

სხდომა მოწვეული იქნა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის - ლაშა კომახიძის მომართვის საფუძველზე (წერილი (N 25/19046 19/10/2018) სადაც მერი საბჭოს თხოვდა 9 აპრილის ხსოვნის და დამოუკიდებლობის დღისადმი აღსანიშნავი მემორიალის განთავსებისათვის საჭირო ალტერნატიული ადგილის შერჩევის მიზნით მოსაზრებების მოწოდებას.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 11 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 6, არ ესწრებოდა 5.

ასევე სხდომას ესწრებოდა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო დირექტორი სულხან ევგენიძე.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების მე-4 მუხლის მე 10 პუნქტის თანახმად საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია რადგან მასში სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი წევრი მონაწილეობდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა გახსნა და უძღვებოდა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე - კახაბერ გუჩმანიძე.

დღის წესრიგი გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხები: - *დღის წესრიგი - # 4 (25 ოქტომბერი - 2018 წ / 18 : 00 სთ)*

საკითხი 1. *- 9 აპრილის ხსოვნის და დამოუკიდებლობის დღისადმი აღსანიშნავი მემორიალის განთავსებისათვის საჭირო ალტერნატიული ადგილის შერჩევის მიზნით განხილვა და ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისთვის მოსაზრებების წარდგენა;*
(საფუძველი : ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვა)

საკითხი 2. *- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სამუშაო გეგმა-გრაფიკის საბოლოო ვარიანტის განხილვა;*

ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა დღის წესრიგს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს რათა განეხილათ დღის წესრიგით გათ - ვალისწინებული საკითხები.

საკითხი 1. - 9 აპრილის ხსოვნის და დამოუკიდებლობის დღისადმი აღსანიშნავი მემორიალის განთავსებისათვის საჭირო ალტერნატიული ადგილის შერჩევის მიზნით განხილვა და ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისთვის მოსაზრებების წარდგენა;
(საფუძველი : ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვა)

კახაბერ გუჩმანიძემ საბჭოს დამსწრე წევრებს გააცნო ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მომართვა, რომელიც მანამდე საბჭოს წევრებს განსახილველად დაეგზავნათ ელ.ფოსტებზე და თხოვა საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა.

გაიმართა განხილვა. ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო დირექტორმა სულხან ევგენიძემ საბჭოს წევრებს გააცნო და წარუდგინა არსებული პროექტი და ესკიზები, ასევე უპასუხა ტექნიკური თუ სხვა კუთხით არსებულ შეკითხვებს.

აქტიური განხილვების შედეგად გამოიკვეთა ორი მოსაზრება :

1 . მაყვალა კვირიკაძემ განაცხადა, რომ მიუხედავად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისა და სამინისტროს უარისა მემორიალი უფრო მეტად თემატურად და სიმბოლურადაც ერგება ქ.ბათუმის ბულვარს რის გამოც მემორიალი ისევ მანამდე შერჩეულ ადგილზე უნდა განთავსდეს, თუმცა იქვე დაამატა, რომ პროექტის კონკრეტული ნაწილი უნდა დაკორექტირდეს - ამოღებული იქნას სკამები, ურნები და ფილაქნების ნაწილი.

მაყვალა კვირიკაძის წინადადებას და მოსაზრებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს სხვა წევრებმა, ერთმა წევრმა - ლაშა ნაკაშიძემ შეიკავა თავი და განაცხადა, რომ კონკრეტულ საკითხთან (მემორიალის განთავსების ლოკაცია) დაკავშირებით არ გააჩნია მოსაზრება.

2. საბჭოს სხვა წევრებმა მხარი დაუჭირეს მემორიალის გმირთა ხეივანში განთავსებას და განაცხადეს, რომ აღნიშნული თემატურად უფრო მოერგება გმირთა ხეივანს.

საბჭომ გაითვალისწინა მაყვალა კვირიკაძის მოთხოვნა და გადაწყვიტა ქ.ბათუმის მერისთვის საბჭოს ორივე მოსაზრების წარდგენა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს 5 წევრმა მხარი დაუჭირა ორივე მოსაზრების ქ.ბათუმის მერისთვის წარდგენას, 1 წევრმა ლაშა ნაკაშიძემ თავი შეიკავა.

ქ.ბათუმის მერისთვის შესაბამისი წერილის მომზადება ეთხოვა კახაბერ გუჩმანიძეს.

საკითხი 2. - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სამუშაო გეგმა-გრაფიკის საბოლოო ვარიანტის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ ხელახლა გააცნო დამსწრე წევრებს შემუშავებული სამუშაო გეგმა-გრაფიკი და განაცხადა, რომ აღნიშნული დაგზავნილი იყო საბჭოს წევრთა ელ.ფოსტებზე და განსახილველად საკმაო დრო იყო გამოყოფილი. გაიმართა განხილვა. აზრი გამოთქვეს : - კახაბერ გუჩმანიძემ, ნინო ინაიშვილმა, თამაზ თურმანიძემ.

ლაშა ნაკაშიძემ განაცხადა, რომ არ უჭერდა მხარს სამუშაო გეგმა - გრაფიკის არსებობას და მიაჩნია - საბჭო მხოლოდ კონკრეტული საჭიროებისამებრ უნდა იკრიბებოდეს.

საბჭოს სხვა წევრებმაც დააფიქსირეს პოზიციები და მხარი დაუჭირეს კონკრეტული შეკრე - ბის გრაფიკის და მუშაობის მიმართულების განსაზღვრის აუცილებლობას.

ნინო ინაიშვილმა განაცხადა, რომ გეგმა-გრაფიკიც მისაღებია მისთვის და ასევე, ის რომ საბჭო კონკრეტული აუცილებლობითაც იკრიბებოდეს, რაზედაც სხდომის თავმჯდომარემ - კახაბერ გუჩმანიძემ - განაცხადა, რომ კონკრეტული აუცილებლობით აქტუალურ საკითხებ-ზე შეკრება წესდებით განსაზღვრულია და საბჭო ქალაქში არსებულ გამოწვევებს უნდა პასუ-ხობდეს.

ნინო ინაიშვილის თხოვნით საკითხი კენჭისყრაზე დადგა შემდეგი ფორმულირებით :

საბჭოს შეიკრიბოს სამუშაო გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული თარიღითა და საკითხებით, ასევე კონკრეტული საჭიროებების შემთხვევაში.

ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს 5 დამსწრე წევრმა დაუჭირა მხარი, 1 წევრმა ლაშა ნაკაშიძემ შეიკავა თავი.

შესაბამისი წერილის მომზადება და ცნობისთვის სამუშაო გეგმა-გრაფიკის მუნიციპალიტე-ტის მერისთვის მიწოდება ეთხოვა კახაბერ გუჩმანიძეს.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მსჯელობის შემდეგ სხდომა დასრულებუ - ლად გამოცხადდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

კახაბერ გუჩმანიძე

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი

მარიამ ბურკენაძე

ქ.ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

25 ოქტომბერი 2018, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზი
(მის: ლუკა ასათიანის ქ. #25)

სარეგისტრაციო ფურცელი
(მრჩეველთა საბჭოს წევრები)

#	Name სახელი, გვარი	Institution ორგანიზაცია	Contact information/E-mail საკონტაქტო ინფორმაცია/ელ–ფოსტა	Signature ხელმოწერა
1.	[illegible]	[illegible]	599-53-49-60	[signature]
2.	[illegible]	„[illegible]"	nino_jnaishvili@yahoo.com	[signature]
3.	[illegible]	[illegible]	593-35-81-99	[signature]
4.	[illegible]	[illegible]	577.57 12 77 tturmanidze@gmail.com	[signature]
5.	[illegible]	UNDP	577 115 139	[signature]

#	Name სახელი, გვარი	Institution ორგანიზაცია	Contact information/E-mail საკონტაქტო ინფორმაცია/ელ–ფოსტა	Signature ხელმოწერა
6.	კახაბერ გუჩმანიძე	CENN	577 46 51 46 599 55 55 12 k.guchmanidze@gmail.com.	
7.				
8.				
9.				
10.				
11.				